

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

2018 წელს გაწეული სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის ანგარიში

წყლის რესურსების და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილება

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	სოფიო გორგიჯანიძე	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ.125, 5.	1512-0902
2	ცისანა ბასილაშვილი	მეცნიერება და ტექნოლოგიები № 1 (727) – 2018, 56 – 68	0130 – 7061
3	ცისანა ბასილაშვილი	საქართველოს ეროვნული ატლასი. თბილისი „პალიტრა“ 2018. გვ.83	
4	ცისანა ბასილაშვილი	სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ.125, 5 გვ.	1512-0902
5	ცისანა ბასილაშვილი	სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ.125, 5 გვ.	1512 – 0902
6	გურამ გრიგოლია, მერაბ ალავერდაშვილი	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ.125, 4	1512-0902
7	გიორგი ხერხეულიძე	გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2018. 15-21	
8	Херхеулидзе Г.И.	Журнал ГеоРиск (ჟურნალი „გეორისკი“) ბეჭვდაშია	
9	Херхеулидзе Г.И.	Журнал ГеоРиск (ჟურნალი „გეორისკი“) ბეჭვდაშია	
10	O. Natishvili, I.Kruashvili, I. Inashvili	Гидротехническое строительство“ с 46 - 48 №2 2018	ISSN 0016-9714
11	მანანა სალუქვაძე „საქართველოს ზვავსაშიში რაიონები“	საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომათა კრებული, 10 გვ	
12	მანანა სალუქვაძე, ლადო ქალდანია. „თოვლის ზვავი“	საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, გამომცემლობა პალიტრა	ISBN 978. 9941-24. 984-6

	L, 2018, 50 გვ.	
--	-----------------	--

5. საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები

№	დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	NATO	G4934		საქართველოში ენგურის ჰიდორელექტროსადგურის უსაფრთხოება გეოსამშრომებისგან	2017-2018

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

№	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	216758	დავით სვანაძე;	სეისმური საშიშროების შეფასება საქართველოსთვის და სეისმური რისკის ქალაქ მცხეთისთვის თანამედროვე მიდგომებით	2016-2018

7. სხვა შედეგები:

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Басилашвили Ц.З.	საერთაშორისო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, ტ. 6, ქუთაისი, 33 – 37	1520 – 1976
2	Ts. Basilashvili, B. Beritashvili, N. Kapanadze	The Chapter for Book: “Biodiversity of South, Southwest and Middle Asia – Conservation and Sustainability” Leibniz, Germany იბეჭდება	
3	I.Kruashvili, W. Loiscandl, I.Inashvili, K.Bziava, M.Himmelbauer	Derbis Flows: Disasters, Risk, Forecast, Protection. Tbilisi	ISBN 978-9941-26-283-8
4	О. Г. Натишвили И. Г. Круашвили И. Д. Инашвили	Анализ, прогноз и управление природными рисками с учётом глобального изменения климата „Геориск -2018“ москва	ISBN978-5-209-09003-8

5	გიორგი ხერხეულიძე	ღვაცოფები: კატასტროფები, რისკი, პროგნოზი, დაცვა. თბილისი. „უნივერსალი“. 2018	ISSN
---	-------------------	--	------

7.3. წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1	О. Г. Натишвили И. Г. Круашვილი И. Д. Инашвили	ООО “Научтехлитиздат“	ISBN 978.3-93728-156-2

7.4. წიგნების და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

№	წიგნის/გამოცემის ავტორები	გამომცემლობა	წიგნის/გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1	ს. გორგიჯანიძე. გ. გეთიაშვილი, მ. ფირჩხაძე	„ჩვენი საქართველო“ “გამომცემლობა პალიტრა L, 2018, 2 ტომი	
2	ი. ყრუაშვილი ი. ინაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	ISBN 978-9941-28-318-5
3	მანანა სალუქვაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	ISBN 978-9974-8-0843-2

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის წყლის რესურსების და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილება

1	გორგიჯანიძე სოფიო	განყოფილების გამგე
2	ბასილაშვილი ცისანა	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
3	ცინცაძე თენგიზი	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4	ყრუაშვილი ირაკლი	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
5	გრიგოლია გურამი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
6	სალუქვაძე მანანა	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
7	შველიძე ომარი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
8	ხერხეულიძე გიორგი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
9	გაჩეჩილაძე გიორგი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

10	ცინცაპე ნუნუ	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
11	სვანაპე დავითი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
12	ხუფენია ნესტანი	მეცნიერი თანამშრომელი

1.პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიეროკვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	კახეთის რეგიონში ღვარცოფული საშიშროების ხასიათის შეფასება, გავრცელების ზონების ასახვა რუკაზე და მოსალოდნელი ზარალის შერბილების რეკომენდაციები	2018-2020	გ.ხერხეულიძე
2	მდინარეთა წყალმცირობის პერიოდის ჩამონადენის საპროგნოზო მეთოდოლოგია სარწყავი სისტემების მომსახურებისათვის (მდ. ალაზნის მაგალითზე)	2017-2019	ც.ბასილაშვილი
3	ზვავების წარმოქმნის რისკი და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა საქართველოს მთიან რაიონებში	2018-2019	მ.სალუქვაძე ნ. კობახიძე,

1. კახეთის რეგიონში ღვარცოფული მოვლენების გავრცელებაზე მოძიებული მასალების განზოგადება (ნარკვევისა და კატალოგის სახით), საშიშროების ხასიათის შეფასება, საფრთხის ქვეშ მყოფი ზონების დადგენა და ასახვა ღვარცოფსაშიშროების რუკაზე, რისკის შესარბილებლად ან თავიდან ასაცილებლად საჭირო რეკომენდაციები აღრიცხული ღვარცოფული წყალსადინრების კატალოგი, მიმოხილვა საშიშროების ხასიათისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების აღწერით; ღვარცოფსაშიშროების სხვადასხვა კატეგორიის საფრთხის ქვეშ მყოფი ზონების გამოყოფა სპეციალურ რუკაზე ასახვით და რისკის შესარბილებლად საჭირო რეკომენდაციები კახეთის რეგიონში ღვარცოფული საშიშროების არსებობის, გავრცელების და განპირობებელი ფაქტორების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, საწყისი სისტემატიზირება და ანალიზი

2.მდინარეთა წყალმცირობის პერიოდში ფერხდება წყალსამეურნეო ობიექტების მუშაობა, რის გამოც საგრძნობლად მცირდება მცენარეთა რწყვა და მათი მოსავლიანობა. ამიტომ აუცილებელია მდინარეთა წყალმცირობის პერიოდის ჩამონადენის პროგნოზირება დროის სხვადასხვა ინტერვალებში. კერძოდ

შემუშავდება გრძელვადიანი საპროგნოზო მეთოდები სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული კვარტლისა და თვეებისათვის, რათა დროულად ჩატარდეს ყველა პრევენციული ღონისძიება წყალსამურნეო ობიექტების მოსალოდნელი შეფერხებების აღმოსაფხვრელად. კვლევის შედეგად მდინარეთა მთავარი სამურნეო დანიშნულების ჰიდროკვეთებისათვის შემუშავდება წყალმცირობის პერიოდის ცალკეული კვარტლისა და თვეების ჩამონადენის საპროგნოზო მეთოდები მათი ყოველწლიური გრძელვადიანი ოპერატიული პროგნოზების შესადგენად წყალსამურნეო ობიექტების მომსახურებისათვის. მათ საფუძველზე შესაძლებელია რაციონალურად იქნეს გამოყენებული არსებული წყლის რესურსები, რათა ოპტიმალურად იმართოს სარწყავი სისტემები, რაც უზრუნველყოფს მოსალოდნელი გვალვების შედეგების შერბილებას და მოსავლიანობის გაზრდას. მდინარის წყალმცირე პერიოდების ჩამონადენისა და მათი მაფორმირებელი ფაქტორების პარამეტრების დაზუსტება. წყალმცირე ჩამონადენზე მოქმედი მთავარი ფაქტორების გამოვლენა.

3. საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის ზვავების წარმოქმნის რისკის განსაზღვრა და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების გზების და სახვა როგორც ლოკალური ზვავის კერისათვის, ასევე ცალკეული ზვავსაშიში მონაკვეთისათვის. რისკებისა და კატასტროფების თავიდან ასაცილებლად იმ რაიონების დადგენა, სადაცშესაძლებელი იქნება ზვავების პრიფილაქტიკური ჩამოშვება. წარმოდგენილი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები გასათვალისწინებელი იქნება მთიან რაიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, მაღალი ძაბვის ანძების დაპროექტებისას. დროულად გატარებული ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიება მოსალოდნელ კატასტროფული შედეგის შესარბილებელი და თავიდან ასაცილებელია. საქართველოს მთიანი რეგიონების ზვავების წარმოქმნის რისკის შეფასება და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების ფორმისა და მისი ჩატარების ადგილის დადგენა დასაცავი ობიექტების გათვალისწინებით2018

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიითითებით)
1	2	3	4
1	„საქართველოს ჰიდროლოგიური ატლასის მომზადება“ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებანი და გარემო (ჰიდროლოგია, გლაციოლოგია, მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, გარემოს დაბინძურება); ბუნებრივი გარემოს ჰიდრომეტეოროლოგიური და ეკოლოგიური მონიტორინგი	2014-2018	დანართი 1.

საქართველოს ჰიდროლოგიური ატლასი შემუშავდა პირველად და მისი შემდგომში გამოცემა, როგორც ენციკლოპედიური ხასიათის ფუნდამენტური ნაშრომისა დიდ დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერებს, ასე-

ვე სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის, საკურორტო-რეკრეატიული ჯანდაცვის, ტურიზმის, წყალთა მეურნეობის და წყლის რესურსების გამოყენების, ეკოლოგიის სპეციალისტებს-პრაქტიკოსებს. ატლასის გამოცემა მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სფეროს მდგრადი განვითარებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

ატლასის წარმოდგენილი და განზოგადებულია ინსტიტუტის ექსპედიციური სამუშაოების, ასევე საველე-ექსპერიმენტალურ ბაზებზე დაკვირვების და კვლევის შედეგად მოპოვებული ჰიდროლოგიური, გლაციოლოგიური, მეტეოროლოგიური, კლიმატოლოგიური და გარემოს კომპონენტების დაბინძურების მასალები, ინსტიტუტის საარქივო და გამოცემული 150-ზე მეტ შრომათა კრებულში და მონოგრაფიებში წარმოდგენილი მასალები, შედგენილი და გამოცემული კლიმატური, ზვავსაშიშროების და ღვარცოფსაშიშროების რუკები, კლიმატური და აეროკლიმატური რესურსების ატლასი, გარემოს ეროვნულ სააგენტოში (ყოფილი ჰიდრომეტეოროლოგიის და გარემოს კონტროლის სამმართველო) არსებული საარქივო და მიმდინარე პროცესების ამსახველი დაკვირვების მონაცემები, სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებში შესული ჰიდრომეტეოროლოგიური და ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაცია.

განხილულია ჩამონადენის მაფორმირებელი ატმოსფერული ნალექები; აორთქლება და ევაპოტრანსპირაცია; თოვლის საფარი და მყინვარები; მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, ჭაობები; ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენი; წყლის ბალანსი; ღვარცოფები; თოვლის ზვავები; წყალმოვარდნები და წყალდიდობები; წყალმცირობა და ჩამონადენის კავშირი გვალვიანობასთან; საშიში და კატასტროფული მოვლენების რისკები და პროგნოზები; კლიმატის ცვლილების გავლენა ზედაპირულ და მიწისქვეშა ჩამონადენზე; წყლის რესურსები, მათი გამოყენება, მელიორაციული ჰიდროლოგიის საკითხები; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება

დანართი 1.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

წყლის რესურსების და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილება		
პროექტში ჩართული პერსონალი	თანამდებობა	როლი პროექტში
ვასილ ცომაია	მთ. მეც. თანამშ.	გლაციოლოგია, ზედაპირული, მიწისქვეშა და მყინვარული ჩამონადენი
გიორგი ხერხეულიძე	მთ. მეც. თანამშ.	წყლის ბალანსი, ღვარცოფები, კალაპოტური პროცესები
მანანა სალუქვაძე	მთ. მეც. თანამშ.	წყლის ბალანსი, თოვლის ზვავები, თოვლის საფარი
ცისანა ბასილაშვილი	მთ. მეც. თანამშ.	წყლის ბალანსი, წყლის რესურსები, ჰიდროლოგიური პროგნოზები, მათ შორის წყალდიდობები და წყალმოვარდნები
ომარ შველიძე	უფრ. მეც. თანამშ.	აორთქლება და ევაპოტრანსპირაცია, მელიორაციული ჰიდროლოგია, წყლის ბალანსი, წყლის რესურსების გამოყენება
გურამ გრიგოლია	უფრ. მეც. თანამშ.	წყლის რესურსები, ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენი, საშიში/კატასტროფული მოვლენების რისკები და პროგნოზები
გიორგი გაჩეჩილაძე	უფრ. მეც. თანამშ.	წყლის ბალანსი, მყარი ჩამონადენი, წყლის ქიმიური შედგენილობა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების

		დაბინძურება, ეკოლოგიური საკითხები
სოფიო გორგიჯანიძე	უფრ. მეც. თანამშ.	წყლის ობიექტების კლასიფიკაცია, რუკების შედგენა
ნუნუ ცინცაძე	უფრ. მეც. თანამშ.	წყლის ობიექტების კლასიფიკაცია, რუკების შედგენა
ნესტან ხუფენია	მეცნიერი თანამშრომელი	ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენის მოდელირება, საშიში და კატასტროფული მოვლენების რისკები და პროგნოზები
ნათელა კობახიძე	მეცნიერი თანამშრომელი	თოვლის საფარის, თოვლის ზვავების, მათი რუკების და პროგნოზების გეოინფორმაციის კარტოგრაფირება
რამაზ მესხია	უფრ. მეც. თანამშ.	ჩამონადენის ფორმირების მოდელირება, რუკების შედგენა
დამხმარე პერსონალი		
ნარინე არუთინიანი	დირექტორის თანაშემწე	GIS სისტემის გამოყენება რუკების შედგენაში
ნინო გოგიბერიძე	ინჟინერი	ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების და ნახაზების დამუშავება
გივი ფიფია	დირექტორის მოადგილე	არსებული ჰიდროლოგიური საგუშაგოების კოორდინატების დადგენა, საველე სამუშაოები

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	სეისმური საშიშროების შეფასება საქართველოსთვის და სეისმური რისკის ქალაქ მცხეთისთვის თანამედროვე მიდგომებით 216758	2016-2018	შემსრულებელი დავით სვანაძე;

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	--	--------------------------------	---------------------

1	ი. ყრუაშვილი ი. ინაშვილი	ნიადაგების ეროზიის პროგნოზირება სარწყავ მიწათმოქმედებაში ISBN 978-9941-28-318-5	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	210გვ
<p>1. მონოგრაფიაში განხილულია ნიადაგ-გრუნტების წყლისმიერი ეროზიის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები; ნიადაგ-გრუნტებში ფიზიკურ-ქიმიური მიკროპროცესების გავლენა ეროზიაზე; ფილტრაციულ-კაპილარულ კანონზომიერებათა ჰიდროფიზიკური მახასიათებლები; თვითგარეცხვადი კალაპოტების ზღვრული წონასწორობის ჰიდრომექანიკური მოდელები; ბმული გრუნტის ზღვრული წონასწორობის მექანიკური მოდელი ჰიდროფიზიკური ფაქტორის გათვალისწინებით; ტურბულენტურ ნაკადში სიმღვრივის კონცენტრაციის გავლენა სიჩქარის განაწილების ეპიურაზე; ზედაპირული ჩამონადენის ჰიდრაულიკური რეჟიმის როლი ნიადაგ-გრუნტების ეროზიულ კანონზომიერებათა ფორმირებაში; ბუნებრივი კალაპოტების წყლისმიერი ეროზიული პროცესების საველე და ლაბორატორიული კვლევები. მონოგრაფიის ბოლოს მოცემულია ტექნიკური ტერმინოლოგია რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p>				
2	მანანა სალუქვაძე	საქართველოს თოვლის ზვავების კადასტრი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	300
<p>საქართველოს ტერიტორიის 56% ზვავსაშიში ფერდობებისგან შედგება. წლების განმავლობაში ზვავების ჩამოსვლა ნგრევას და მსხვერპლს იწვევს. მრავალწლიანი საველე კვლევების და ლიტერატურული წყაროების ანალიზით, ასევე თეორიული მეთოდების გამოყენებით შევადგინეთ საქართველის თოვლის ზვავების კადასტრი, სადაც 135 მდინარის ხეობაში განლაგებული 338 დასახლებული პუნქტისთვის საშიში 1108 ზვავის მორფომეტრიული და დინამიკური მახასიათებელია წარმოდგენილი. კადასტრში არსებული მონაცემები გასათვალისწინებელია მთიანი რაიონების ათვისების, ინფრასტრუქტურის მოწყობის და ტურისტული მარშრუტების შედგენისას.</p>				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	I.Kruashvili, W. Loiscandl, I. Inashvili, K.Bziava, M.Himmelbauer	Derbis Flows: Disasters, Risk, Forecast, Protection ISBN 978-9941-26-283-8	Tbilisi Publishing house "Universal"	7 p
<p>1. ღვარცოფული კალაპოტები ხასიათდება ტრანზიტულ ნაკადზე ზემოქმედების მთელი რიგი თავისებურებებით. პრობლემა რთულდება და ხდება უფრო ინტენსიური როდესაც ღვარცოფული ნაკადის რეგულირება ხორციელდება საინჟინრო მეთოდებით, კერძოდ, ღვარცოფული ნაკადის რეგულირება განივი ნაგებობებით იწვევს ნაკადის დეფორმაციას და ტალღური მოძრაობის წარმოშობას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტრანზიტული ნაკადის მდგრადობის შესწავლის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას თხოვლობს კალაპოტური პროცესების სტაბილურობა და კალაპოტის დეფორმაცია. ღვარცოფული ნაკადის მდგრადობის და გვერდითი კუმშვის პროგნოზირების მიზნით, რეოლოგიური მახასიათებლების</p>				

გათვალისწინებით სტატიაში მიღებულია სელური ნაკადის სიღმის ტალღის სიღრმესთან ფარდობის საანგარიშო მოდელი და ნაკადის გვერდითი კუმშვის განტოლება.

2	„საქართველოს ზვავსაშიში რაიონები“. მანანა სალუქვაძე	საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომათა კრებული	კრებული სავარაუდოთ 19 დეკემბერს გამოვა	10 გვერდი
---	---	--	--	-----------

სტატიაში განხილულია საქართველოს ზვავსაშიში რაიონები. მრავალწლიური ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების (1846-2017 წწ.) საარქივო ფონდის, 40 წლიანი სავსე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალებისა და ლიტერატურული წყაროების გამოყენებით დადგინდა საქართველოს თორმეტი მუნიციპალიტეტის 135 მდინარის ხეობაში არსებული 338 დასახლებული პუნქტისა და საავტომობილო გზებისთვის საშიში 1108 ზვავშემკრებების მორფომეტრიული (ზვავშემკრებისა და მისი ცალკეული მონაკვეთის აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, ჰორიზონტალური და ფაქტიური სიგრძე, დახრილობა, ზვავის კერის ფართობი) და ზვავების დინამიკური (ცალკეულ მონაკვეთზე ზვავის სიჩქარე, დარტყმის ძალა, ზვავის კონუსის მოცულობა, მოძრავი ზვავის სიმაღლე, ზვავის სიგრძე) მახასიათებლები; მოხდა ყოველი ზვავის ადგილმდებარეობისა და გაჩერების ადგილის მითითება; ზვავის დარტყმის ძალისა და ზვავშემკრების ფართობის მიხედვით განისაზღვრა რისკის ოთხი დონე (სუსტი, საშუალო, ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი); გამოვლინდა ზვავსაშიში და პოტენციურად ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები და წარმოჩნდა წლების მანძილზე ზვავებისგან მიყენებული მატერიალური ზარალის მასშტაბები. სტატიაში ასევე მოცემულია ზვავსაშიშროების შერბილების რეკომენდაციები.

4.5. სტატიები ISSNის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.ხერხეულიძე	სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ღვარცოფმცოდნეობის და საინჟინრო ჰიდროლოგიის დარგში, შეფასება და პერსპექტივები	ღვარცოფები: კატასტროფები, რისკი, პროგნოზი, დაცვა. 2018.	თბილისი. 2018 “უნივერსალი”.	4

სტატიაში განხილულია ინფორმაცია სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მოღვაწეობის ძირი-თადი მიმართულებების შესახებ ღვარცოფმცოდნეობისა და საინჟინრო ჰიდროლოგიის დარგში, მოცემულია მიღებული შედეგების შეფასება და დასკვნები მათი შესაძლო გაუმჯობესების შესახებ.

2	Херхеулидзе Г.И. Таланов Е.	Селеведение в Институте гидрометеорологии Грузинского технического университета: накопленный опыт и перспективы развития	Журнал ГеоРиск	Журнал ГеоРиск Москва	
---	--------------------------------	--	----------------	--------------------------	--

სტატიაში ვრცლად გაშუქებულია სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტების

მოღვაწეობა და მათი შესატანი ღვარცოფმცოდნეულის პრობლემების გადაწყვეტაში ისეთ ძირითად მიმართულებებზე როგორცაა: ღვარცოფულ მოვლენებზე, მათ განმაპირობებელ და გამომწვევ ფაქტორებზე, გავლის დამანგრეველ შედეგებზე, ღვარცოფული წყალსადინრების ჰიდროგრაფიულ მახასიათებლებზე, ღვარცოფწარმომქმნელი წყლისა და ღვარცოფის ჩამონადენის მო-სა-ლ-ოდნელ მასშტაზე ინფორმაციის მოძიება, სისტემატიზირება, განზოგადოება და გამოქვეყნება კატალოგებისა და თემატური რუკების სახით კავასიის მასშტაბში და მისი ცალკეუკი რეგიონებისთვის; კონცეპტუალური მიდგომების, განმარტებების, მეთოდების და რეკომენდაციების შემუშავება ღვარცოფსაწინააღმდეგო მშენებლის საინჟინრო პრობლემების გადასაწყვეტად (ჩამონადენისა და დარტყმის ძალის დადგენა, დამცავი და ნაკადმიმმართელი კონსტრუქციები, მათი ექსპლუატაციის რეკომენდაციები); ღვარცოფსა-შიშროების პროგნოზირებისა და მონიტორინგის ჩატარების მეთოდები, კიმატური მახასიატებების შეცვლის შესაძლო გავლენა ღვარცოფთა პარამეტრებზე და შესაბამისი რისკის მასშტაბზე.

3	Херхеулидзе Г.И. Таланов Е.	თავხსმური ნალექებისა და ღვარცოფების -მახასიათებლების სივრცულ დროითი კანონზომიერებანი კავკასიაში	Журнал ГеоРиск	Журнал ГеоРиск Москва	
---	--------------------------------	---	----------------	--------------------------	--

სტატიაში მოცემულია კავკასიაში დღეღამური ნალექების ჯამთა განაწილების სტა-ტის-ტი-კუ-რი ანალიზის შედეგები, რომელიც განხორციელდა ყაზახეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში შემუშავებული მეთოდის გამოყენებით; წა-რმოდგენილია კავკასიაში ნალექთა ველების ინტერპრეტაცია; მოცემულია თხევადი ნალექების ექსტრემალური მნიშვნელობების (მმ/დღეღამე) მოსვლის ალბათობა სიმაღლეთა დამახასიათებელ ინტერვალებში, კერძოდ 1% უზრუნველყოფის ნალექთა ჯამი, რომელიც წარდგინდა რუკის სახით, ამიერკავკასიის ჰიდრომეტინსტიტუტის მიერ გამოყენებულ იქნა ამიერკავკასიისა და დაღესტნის

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	О. Г. Натишвили И. Г. Круашвили И. Д. Инашвили	Прикладные задачи динамики связанных селевых потоков ISBN 978.3-93728-156-2	Москва, ООО “Научтехлитиздат“	143 с

1. ნაშრომში განხილულია ბმული ღვარცოფული ნაკადების და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობებზე მათი ზემოქმედების ზოგიერთი თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევის შედეგები. ინჟინერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი სახით გადმოცემულია ბმული ღვარცოფული ნაკადის ფიზიკო-მექანიკური, რეოლოგიური და დინამიკური მოდელების აგების პრინციპები.

არანიუტონური სითხეების მექანიკის პოსტულატებზე დაყრდნობით ახსნილია ღვარცოფული ნაკადების ფიზიკური ბუნება, რომლის ანალიზური გამოსახვა მოცემულია მარტივი მათემატიკური დამოკიდებულებების სახით. მონოგრაფიის ერთ-ერთი დადებითი მხარეა ის, რომ საკითხები, ღვარცოფული ნაკადების ანომალური თვისებების გათვალისწინებით განიხილება ორი მეცნიერების - ჰიდრაულიკის და რეოლოგიის მიჯნაზე. დიფერენციალური განტოლებები, გამოყენებული ღვარცოფული

ნაკადების ერთგანზომილებიანი მოძრაობისთვის ადეკვატურად ასახავენ იმ ანომალურ თვისებებს, რომლებსაც ეს ნაკადები ავლენენ ნაგებობებთან ურთიერთქმედებისას და გამოტანის კონუსზე გამოსვლის დროს. ნაშრომი შეიძლება შეფასდეს როგორც ღვარცოფული ნაკადების მექანიკისთვის დამახასიათებელი რთული მოვლენების შესწავლის ერთ-ერთი ეტაპი. წარმოდგენილი შედეგები, მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის საბოლოო, მიუთითებს ამ რთული საკითხისადმი, რომელიც მოითხოვს გადაუდებელ გადაწყვეტას, მონოგრაფიაში მოყვანილი მიდგომის პერსპექტიულობასა და ნაყოფიერებაზე.

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	О. Г. Натишвили И. Г. Круашвили И. Д. Инашвили	Анализ, прогноз и управление природными рисками с учётом глобального изменения климата „Геориск -2018“ Том I ISBN 978-5-209-09003-8	Москва Российский университет дружбы народов	5 с

1. ნაშრომში განიხილება ბმულ ღვარცოფულ ნაკადებში ტალღის წარმოშობის პროგნოზის საკითხები. მიღებული დამოკიდებულება ახასიათებს ერთგანზომილებიანი გრძელი ტალღების არამდგრადობის პირობას ბმულ ღვარცოფულ ნაკადში, რომელიც მოძრაობს გარკვეული, დადგენილი სიჩქარით წყალსადინარის დადებით ქანობიან კალაპოტში, როდესაც ნაკადის მოძრაობა განპირობებულია სიმძიმის ძალით.

არამდგრადობა განხილულ შემთხვევაში იქნება ტალღის მკვეთრად გამოხატული ფორმის სახით, რომლის ზომები თანაბრად მოძრაობა ნაკადის სიღრმის შესაბამისია, რასაც ადგილი აქვს ბუნებაში. ბმული ღვარცოფული ნაკადის მოძრაობის ტალღური რეჟიმის გავლენის გათვალისწინება აუცილებელია ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების დაპროექტების დროს.

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	O. Natishvili, I. Kruashvili, I. Inashvili	The impact of structural debris-flow on the cross-section structures ISSN 0016-9714	Гидротехническое строительство“ №2 2018	Москва НТФ „Энергострой“	3 p

1. გაანალიზებულია სტრუქტურული ღვარცოფული ნაკადის ზემოქმედების საკითხი განივ ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობებზე. რეკომენდირებულია დამოკიდებულებები დახრილი სადაწნევო

კედლის მქონე ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობებზე ღვარცოფული ნაკადის დარტყმის ძალის განსასაზღვრავად ნაკადის ტალღური რეჟიმის გათვალისწინებით და მის გარეშე.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სოფიო გორგიჯანიძე	„წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები“	2018 წლის 8 დეკემბერი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება
<p>ნორჩ გეოგრაფთა საკვირაო სკოლის მეცადინეობაზე, რომელსაც ესწრებოდა ქ. თბილისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე დამსწრე საზოგადოება განხილული იყო წლათან დაკავშირებული ის პრობლემები, რომლებიც ხდება სტიქიური მოვლენების დროს. დამსწრე საზოგადოებას გაექცნო საქართველოში სხვადასხვა წლებში მომხდარი წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების თვისებები და ხასიათი. მათი შედეგები. ასევე განხილული იყო რეკომენდაციები მათი თავდიან აცილების მიზნით.</p>			
2	I.Kruashvili, W. Loiscandl, I. Inashvili, K.Bziava, M.Himmelbauer	Derbis flow channel processes and determination of the Lateral compression ratio	1 – 5 October Tbilisi
<p>მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)</p>			
3	მანანა სალუქვაძე	„საქართველოს ზვავსაშიში რაიონები“	2018 წლის 10 ნოემბერი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება
<p>ნორჩ გეოგრაფთა საკვირაო სკოლის მეცადინეობაზე, რომელსაც ესწრებოდა ქ. თბილისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე დამსწრე საზოგადოება განვიხილეთ “თეთრ სიკვდილად“ წოდებული, ფართო გავრცელებითა და ხშირი განმეორადობით გამორჩეული სტიქიური მოვლენა - თოვლის ზვავები, რომლებიც ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს მთიანი რაიონის მოსახლეობას, იწვევს ნგრევას, დაზიანებას, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. წლების მანძილზე ზვავების ჩამოსვლის შედეგად 650-ზე მეტი ადამიანია დაღუპული, ხოლო ქვეყნის ეკონომიკას ასეულ მილიონ ლარზე მეტი ზარალი მიადგა. საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში 338 დასახლებული პუნქტია ზვავსაშიში. საუბარი გვექონდა ჩვენს ინსტიტუტში შემუშავებულ ზვავსაშიშროების პროგნოზებზე და მთაში გადაადგილების წესების დაცვის აუცილებლობაზე, ასევე კატასტროფების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით რისკის შეფასებისა და ისეთი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც შესაძლებელს გახდის ადგილობრივი მოსახლეობის, საავტომობილო გზების, ცალკეული კურორტების დაცვას თოვლის ზვავებისგან.</p>			
<p>2. მანანა სალუქვაძემ 2018 წლის 8 ოქტომბერს, ორგანიზაცია „საქართველოს მთის კურორტები“, , მომართვის საფუძველზე შეადგინა საექსპერტო დასკვნა კურ. გუდაურში მშენებარე სასტუმროს თოვლის ზვავებისგან დაცვის მიზნით გასატარებელი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ. დასკვნაში (9 გვერდი) აღწერილია გასატარებელი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების სახეობები. მითითებულია, რომ „საქართველოს მთიან რაიონებში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მშენებლობის დროს, ასევე ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შემთხვევაში აუცილებელია ყოველი ზვავშემკვრების მორფომეტრიული და ზვავის დინამიკური მახასიათებლის (ზვავის მაქსიმალური სიჩქარე, დარტყმის</p>			

ძალა, კონუსის მოცულობა და მოძრავი ზვავის მაქსიმალური სიმაღლის გამოთვლა, რისთვისაც ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექციას უნდა მიმართონ.

3. მანანა სალუქვაძემ 2018 წლის 4 დეკემბერს, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურული სამინისტროს CENN-ის მომართვის საფუძველზე შეადგინა საექსპერტო დასკვნა (7 გვერდი) ჟინვალის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის ზვავსაშიშროების შესახებ. ამ მონაკვეთზე იგეგმება ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ზოგადად საქართველოს სამხედრო გზაზე 145 ზვავი, ასევე სტეფანწმინდის ათ სოფელში 20 ზვავი ჩამოდის. ზვავსაშიშა სოფლები წკერე და მელურე. დეტალური კვლევისთვის უნდა მიმართონ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექციას.

4	მ. ალავერდაშვილი, გ. ბრეგვაძე, ნ. ცინცაძე, ნ. კოკაია, დ. კიკნაძე, ნ. ხუფენია	მდინარეთა წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების გათვლა მდინარე ვერეს მაგალითზე	12-15 თებერვალი, 2018 თბილისი, საქართველო
----------	--	---	--

მდინარე ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმი, მრავალწლიანი დაკვირვებებიდან გამომდინარე, წლის თბილ პერიოდში უეცარი თავსხმა წვიმების შედეგად, ხასიათდება დიდი წყალმოვარდნებით. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან, გახშირდა მათი რაოდენობა და სიძლიერე. ნაშრომში წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების გათვლა მოცემულია შეზის ფორმულის გამოყენებით. მაგალითის სახით, მდინარე ვერეზე 2015 წლის 14 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის ხარჯის გათვლა ნაფეტვრების ხევის შეერთების შემდეგ მიმდებარე კვეთისათვის მოცემულია ორი მეთოდით - სოკოლოვსკის და შეზის ფორმულების გამოყენებით, ხოლო ნაფეტვრების ხევთან გათვლილი მაქსიმალური ხარჯის მიხედვით ლაბორატორიის კვეთისათვის და მთლიანად მდინარე ვერეს აუზისათვის მათი ფართობების ფარდობითი კოეფიციენტების გამოყენებით მიღებულია 14 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის მაქსიმალური ხარჯების მნიშვნელობები, შესაბამისად 477 და 512 მ³/წმ ოდენობით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაფეტვრების ხევთან არსებული მაქსიმალური ხარჯების სამივე შედეგის შედარებით ჩანს, რომ ისინი საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან, რაც მიგვანიშნებს ჩვენს მიერ ლაბორატორიის კვეთში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, შეზის ფორმულის გამოყენებით გათვლილი წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების საიმედოობაზე.

5	მ. ალავერდაშვილი, გ. ბრეგვაძე, ნ. ცინცაძე, ნ. კოკაია, დ. კიკნაძე, ნ. ხუფენია	მდინარეთა წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების გათვლა მდინარე ვერეს მაგალითზე	12-15 თებერვალი, 2018 თბილისი, საქართველო
----------	--	---	--

მდინარე ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმი, მრავალწლიანი დაკვირვებებიდან გამომდინარე, წლის თბილ პერიოდში უეცარი თავსხმა წვიმების შედეგად, ხასიათდება დიდი წყალმოვარდნებით. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან, გახშირდა მათი რაოდენობა და სიძლიერე. ნაშრომში წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების გათვლა მოცემულია შეზის ფორმულის გამოყენებით. მაგალითის სახით, მდინარე ვერეზე 2015 წლის 14 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის ხარჯის გათვლა ნაფეტვრების ხევის შეერთების შემდეგ მიმდებარე კვეთისათვის მოცემულია ორი მეთოდით - სოკოლოვსკის და შეზის ფორმულების გამოყენებით, ხოლო ნაფეტვრების ხევთან გათვლილი მაქსიმალური ხარჯის მიხედვით ლაბორატორიის კვეთისათვის და მთლიანად მდინარე ვერეს აუზისათვის მათი ფართობების ფარდობითი კოეფიციენტების გამოყენებით მიღებულია 14 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის მაქსიმალური ხარჯების მნიშვნელობები, შესაბამისად 477 და 512 მ³/წმ ოდენობით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაფეტვრების ხევთან არსებული მაქსიმალური ხარჯების სამივე შედეგის შედარებით ჩანს, რომ ისინი საკმაოდ ახლოს არიან

ერთმანეთთან, რაც მიგვანიშნებს ჩვენს მიერ ლაბორატორიის კვეთში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, შეზის ფორმულის გამოყენებით გათვლილი წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების საიმედოობაზე.

6	გიორგი ხერხეულიძე	სტუ ღვარცოფმცოდნეობის და საინჟინრო ჰიდროლოგიის დარგში, შეფასება და პერსპექტივები.	ღვარცოფების ასოციაცია მე-5 საერთაშორისო კონფერენცია 1-5 ოქტომბერი 2018 თბილისი
---	-------------------	---	--

სტატიაში განიხილება ინფორმაცია სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ღვარცოფმცოდნეობისა და საინჟინრო ჰიდროლოგიის დარგში, მოცემულია მიღებული შედეგების შეფასება და დასკვნები მათი შესაძლო გაუმჯობესების შესახებ.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	О. Г. Натишвили И. Г. Кру- ашвил, И. Д. Инашвили	Прогноз волнообразования в связных селевых потоках	23 -24 Октября Москва
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

დამატებითი აქტივობები:

- ✓ გორგიჯანიძე სოფიო - 2018 წლის 8 დეკემბერი - მონაწილეობის მიღება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ნორჩ გეოგრაფთა კონფერენციაში. თემა „წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები“
- ✓ სალუქვაძე მანანა - 2018 წლის 8 დეკემბერი - მონაწილეობის მიღება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ნორჩ გეოგრაფთა კონფერენციაში. თემა „საქართველოს ზვავსაშიშ რაიონები“
- ✓ ბასილაშვილი ცისანა - რედაქტორი მონოგრაფიისა: Реваз Самукашвили – Сток с ледников Северного склона Центрального Кавказа. Издательство „Универсал“, Тбилиси – 2018. 155 с.
- ✓ ი. ყრუაშვილი -ავსტრიის სააგენტო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის განათლებასა და კვლევაში (OeAD-GmbH), საერთაშორისო საგრანტო პროექტი # 135 „აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისთვის გარემოსდაცვით სწავლებაში“. ძირითადი შემსრულებელი.
- ✓ ი. ყრუაშვილი - პროექტი „საქართველოს ჰიდროლოგიური და გლაციოლოგიური ცნობარის მომზადება“. ფინანსდება საქართველოს სახელმწიფოს მიერ. ძირითადი შემსრულებელი.
- ✓ ი. ყრუაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, საერთაშორისო პროექტის “#135 – აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში (ACCES)” მომხსენებელი.
- ✓ ი. ყრუაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოინჟინერინგის ფაკულტეტზე კითხულობა სალექციო კურსებს პროფესორის თანამდებობაზე

კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილება

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1	E. Elizbarashvili, M. Elizbarashvili, Sh. Elizbarashvili, N. Kutaladze, N. Chelidze, V. Gorgisheli	Russian Meteorology and Hydrology, Vol. 43, No. 9, pp. 625–631	DOI: 10.3103/S1068373918090091

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Meladze M., Meladze G., Trapaidze G., Meladze G.	Ecology and Environmental Protection. ISSUE 5.1, Vol. 18, pp. 361-367	DOI:10.5593/sgem2018/5.1
2	მელაძე მ., მელაძე გ.	ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები. ტ.VI, გვ. 258-261	ISSN 1512-1976
3	Pipia M., Kartvelishvili L., Beglarashvili N.	European multi science journal №18/2018, pp. 3-7	
4	ფიფია მ., ბეგლარაშვილი ნ., ჯინჭარაძე გ.	ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები. ტ.VI, გვ. 201-203	ISSN 1512-1976

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Meladze G.	National Atlas of Georgia. Citrus Distribution Area. ISBN 978-3-515-12057-9	Stuttgart. Franz Steiner Verlag	p. 108 a
2	Meladze G.	National Atlas of Georgia. Tunga Distribution Area. ISBN 978-3-515-12057-9	Stuttgart. Franz Steiner Verlag	p. 108 b

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები

№	პროექტის	პროექტში ჩართული	პროექტის სათაური	პროექტის
---	----------	------------------	------------------	----------

	საიდენტიფიკაციო კოდი	პერსონალი/როლი		განხორციელების პერიოდი
1	YS 17-49	მიხეილ ფიფია - ხელმძღვანელი ელიზბარ ელიზბარაშვილი - მენტორი ავთანდილ ამირანაშვილი -კონსულტანტი	„ქარბუქი საქართველოს ტერიტორიაზე“.	2017-2019

7. სხვა შედეგები:

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Meladze M., Meladze G., Trapaidze G., Meladze G.	18 th International Multidisciplinary Scientific Geoconference SGEM 2018. Albena, Bulgaria	ISSN 1314-2704

7.2. პუბლიკაცია ეროვნული კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	მელაძე მ., მელაძე გ.	ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები. საქართველო	ISSN 1512-1976
2	ფიფია მ., ზეგლარაშვილი ნ., ჯინჭარაძე გ.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ ქუთაისი, საქართველო	ISSN 1512-1976

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილება

1	ელიზბარაშვილი ელიზბარი	განყოფილების გამგე
2	მელაძე გიორგი	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
3	მელაძე მაია	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4	სამუკაშვილი რევაზი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
5	ვაჩნაძე ჯემალი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
6	ქართველიშვილი ლიანა	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
7	ფიფია მიხეილი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

8	დიასამიძე ციციხო	მეცნიერი თანამშრომელი
9	ჭელიძე ნანა	მეცნიერი თანამშრომელი
10	ელიზბარაშვილი შალვა	მეცნიერი თანამშრომელი
11	შავიშვილი ნინო	მეცნიერი თანამშრომელი

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატის, კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევა (რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი)	2017-2019	შემსრულებლები ე.ელიზბარაშვილი (საერთო ხელმძღვანელობა, ჰაერის ტემპერატურა, სინოტივე, ატმოსფერული ნალექები, საკურორტო რესურსები), გ.მელაძე (აგროკლიმატური რესურსები და აგრომეტეოროლოგიური პროგნოზები), რ.სამუკაშვილი (კლიმატის ფორმირების რადიაციული ფაქტორები, კლიმატის ენერგეტიკული რესურსები, საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები), ჯ.ვაჩნაძე (კლიმატის ცირკულაციური ფაქტორები, წყინვა), მ.მელაძე (აგროკლიმატური რესურსები და აგრომეტეოროლოგიური პროგნოზები), ლ.ქართველიშვილი (მონაცემთა ბაზის შექმნა, სამშენებლო კლიმატური მახასიათებლები), ნ.ჭელიძე (ჰაერის ტემპერატურა და სინოტივე), შ.ელიზბარაშვილი (უხვი და

		<p>ინტენსიური ნალექები), მ.ფიფია (სეტყვა, ქარბუქი), ნ.შავიშვილი (მონაცემთა ბაზები, ტურიზმი), ც.დიასამიძე (კლიმატის ფორმირების ფაქტორები, ნისლი, კომპიუტერული უზრუნველყოფა).</p>
<p>გამოკვლეულია რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორები: რელიეფი, რადიაციული ფაქტორები, ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები, კლიმატის ძირითადი ელემენტების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი (ტემპერატურა, სინოტივე, ნალექები, თოვლის საფარი, ქარი). შეფასებულია რეგიონის კლიმატური რესურსების პოტენციალი (საკურორტო, ჰელიო და ქარის ენერგეტიკული რესურსები). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აგროკლიმატურ რესურსებს და პროგნოზებს. გაანალიზებულია ამინდის საშიში და სტიქიური მოვლენები (ძლიერი ქარი, ქარბუქი, ნისლი, თავსხმა ნალექები, წაყინვა).</p> <p>სავეგეტაციო პერიოდში აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის შედგენილია რეგრესიის განტოლებები, რომლითაც შეიძლება შეფასდეს მიმდინარე წელს აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით უზრუნველყოფა. საპროგნოზო ტემპერატურის ჯამით განისაზღვრა მოსალოდნელი მოსავლის მიღების პირობები. ნიადაგში წყლის ბალანსის მაჩვენებლის შეფასებისათვის აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამების საფუძველზე გამოთვლილია ჰიდროთერმული კოეფიციენტი. აგროკლიმატური რესურსების შეფასება ფერმერული მეურნეობისათვის განსაზღვრავს აგროკულტურების სწორ განლაგებას და მათი განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, აგროკლიმატური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების ჯამების მიხედვით, შედგენილია რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის აგროკლიმატური რუკა.</p>		

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი</p>	<p>პროექტის დაწყების და დამთავრების წლები</p>	<p>პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)</p>
1	<p>„ქარბუქი საქართველოს ტერიტორიაზე“. კლიმატოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერება. YS 17-49</p>	2017-2019	<p>მიხეილ ფიფია - ხელმძღვანელი ელიზბარ ელიზბარაშვილი - მენტორი ავთანდილ ამირანაშვილი - კონსულტანტი</p>
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და</p>			

პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გარდამავალი კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპი მოიცავს ორ საანგარიშო პერიოდს, თითოეულის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიის 65% მთიან ლანდშაფტს უკავია და მთების განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. საქართველოს მთის კურორტების და ზოგადად ტურიზმის განვითარების ფონზე, რაც მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც წელიწადის ყველა სეზონის ტურისტულ ქვეყანად ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანია სხვადასხვა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების, მათ შორის ქარბუქის შედეგად მიყენებული ზიანის დროულად აღმოფხვრა, შეაძლებლობის ფარგლებში წინასწარი ზომების გატარება აღნიშნული ზიანის მინიმუმამდე დაყვანისათვის და ამ კუთხით უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება. ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც რეგიონალური სატრანსპორტო (როგორც საავტომობილო და სარკინიგზო, ასევე, საჰაერო და საზღვაო) „ჰაზის“ შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის ქარბუქის ეფექტურად მართვის ღონისძიებების გატარება.

პროექტის მიზანია საქართველოში ქარბუქის კლიმატური მახასიათებლების გამოკვლევა (ინტენსივობა, დღეთა რიცხვი, არეალები, განმეორადობა, ხანგრძლივობა).

პირველ საანგარიშო პერიოდში შესრულდა შესაბამისი ამოცანები. მთლიანად საქართველოსთვის შეიქმნა ქარბუქის მონაცემთა ბაზა 1966-2017 წლების პერიოდისათვის. ამისათვის დამუშავდა გარემოს ეროვნული სააგენტოს დაკვირვებათა მონაცემები, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში არსებული მონაცემთა ბაზები. ასევე, გეოფიზიკის ინსტიტუტის მონაცემები ქარბუქიანობის შესახებ. შესწავლილ იქნა როგორც მუნიციპალიტეტებიდან ასევე ინტერნეტითა და საინფორმაციო საშუალებებით მიღებული ინფორმაციები ქარბუქისა და მისგან მიყენებული ზიანის შესახებ.

ჩატარდა საველე სამუშაოები, შესწავლილ იქნა ქარბუქის კერები და გაკეთდა მათი აღწერილობა, მოხდა ფოტო და ვიდეო მასალის შეგროვება.

მეორე საანგარიშო პერიოდში შესრულდა ასევე შესაბამისი ამოცანები. პირველ საანგარიშო პერიოდში დამუშავებული მონაცემების გამოყენებით შეფასდა ქარბუქის ისეთი კლიმატური მახასიათებლები, როგორებიცაა დღეთა რიცხვი, არეალები, ალბათობები, განმეორადობები და ხანგრძლივობა;

შემუშავდა ქარბუქის ინტენსივობის განმსაზღვრელი სკალა, რომელიც დაეყრდნო ქარბუქის შედეგად დაზიანებათა ხარისხის შეფასებებს, ეს გულისხმობს ერთიანი მიდგომით შემუშავებული სკალის საფუძველზე ქარბუქიანობის რანჟირებას და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ქარბუქის ინტენსივობა. ამისთვის გამოყენებული იქნა TORRO–ს (Tornado and Storm Research Organization, www.torro.org.uk) სკალა და ასევე ქარბუქის ინტენსივობის შესაფასებლად შემუშავებული იქნა სპეციალური პარამეტრი, რომელიც ითვალისწინებს ქარბუქიანობის კლიმატურ მახასიათებლებს, მათი ცვალებადობის დიაპაზონს და მოინახა კრიტერიუმის გრადაციები, რომლებიც აფასებენ ქარბუქის მიერ მიყენებულ სხვადასხვა ხარისხის ზარალს: უმნიშვნელო, საშუალო, ძლიერი, ძალიან ძლიერი და კატასტროფული.

შემუშავებული ინტენსივობის სკალაზე დაყრდნობით განისაზღვრა კატასტროფული ქარბუქიანობის რეგიონები და შესაბამისი ალბათობები.

ასევე მოხდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ჩატარდა ბულგარეთში, ქ. ბურგასში. კონფერენციის ფარგლებში მოხდა პირველ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია, მოხდა კონტაქტების დამყარება კონფერენციის მონაწილეებთან და დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობა.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.ქართველიშვილი, ლ.მეგრელიძე, კ.მელიქიძე, ლ.ქურდაშვილი, ნ.დეკანოზიშვილი	საქართველოს კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით ახალი სამშენებლო კლიმატური ნორმების დადგენა ISBN978-9941-473-60-9	თბილისი, „მწიგნობარი“	156 გვ.
2	Р.Самукашвили	Сток ледников северного склона центрального Кавказа ISBN978-9941-26-332-3	თბილისი, „უნივერსალი“	155 გვ.
<p>1. დადგენილია ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობის მთის მდინარეების (ტერსკოლი, აზაუ, დონგუ-ზორუნი, ბაშილაუზუსი, გარააზუსუ, ჯაილიკსუ, კაიარტასუ, საუაშილისუ, გერხაჟანსუ) მცინვარული ჩამონადენის სეზონური სვლის თავისებურებანი მთის მდინარეების ჯამურ ჩამონადენში. ნაჩვენებია, რომ ამ მდინარეების ჯამური ჩამონადენის ფორმირებაში აბლაციის პერიოდში წამყვანია მცინვარული ჩამონადენი.</p> <p>2. განხილულია სამშენებლო კლიმატოლოგიის თანამედროვე პრობლემები. ცალკეული და კომპლექსური კლიმატური პარამეტრებისათვის განსაზღვრულია ახალი სამშენებლო კლიმატური ნორმები ბოლო პერიოდის მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების გათვალისწინებით. შედგენილია საქართველოს ახალი სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკა კლიმატის გლობალური ცვლილების გათვალისწინებით.</p>				

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მელაძე მ., მელაძე გ.	მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგროეკოლოგიური ზონირება გლობალური დათბობის პირობებში ISSN 1512-1976	„ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ . ტ.VI	საქართველო, თბილისი	5
2	ფიფია მ.,	“ქარბუქიან დღეთა	საერთაშორისო	ქუთაისი,	3

	ბეგლარაშვილი ნ., ჯინჭარაძე გ.	რიცხვის განაწილების მნიშვნელობა საქართველოს მთიანი ლანდშაფტის პირობებში” ISSN 1512-1976	სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ შრომები, ტ. 6.	საქართველო	
<p>1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონისათვის სავეგეტაციო პერიოდში, რომელიც ძირითადად განმსაზღვრელია მცენარეთა ზრდა-განვითარების, მოსავლის ფორმირების და პროდუქტიულობის, გლობალური დათბობის პირობებში გამოვლენილია აგროკლიმატური მაჩვენებლების (აქტიურ ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების ჯამების, ჰიდროთერმული კოეფიციენტის) ცვლილების ტენდენციები - მატება/კლება, რომლის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს მათი ცვლილების დინამიკა დროში (1948-2017 წწ). გლობალური დათბობის ფონზე, ტემპერატურის მატების გათვალისწინებით გამოყოფილია აგროეკოლოგიური ზონები. გლობალური დათბობიდან გამომდინარე, აწმყოში და მომავლისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ პრევენციული-შემარბილებელი ღონისძიებები; გავითვალისწინოთ ისეთი სელექტირებული კულტურების წარმოება, რომლებიც გამოირჩევიან შედარებით მაღალი ტემპერატურისადმი მდგრადობით და გვალვაგამძლეობით და სხვა.</p>					
<p>2. გამოკვლეულია ქარბუქიან დღეთა როგორც საშუალო, ისე უდიდეს დღეთა რიცხვის წლიური მაჩვენებელი საქართველოში. ფაქტიურ მასალად გამოყენებულია 85 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები ქარბუქიანობის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. არსებული მონაცემების საფუძველზე შედგენილია ქარბუქიან დღეთა რიცხვის საშუალო წლიური განაწილების გეოინფორმაციული რუკა საქართველოსთვის.</p>					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Meladze G.	National Atlas of Georgia. Citrus Distribution Area. ISBN 978-3-515-12057-9	Stuttgart. Franz Steiner Verlag	p. 108 a
2	Meladze G.	National Atlas of Georgia. Tunga Distribution Area. ISBN 978-3-515-12057-9	Stuttgart. Franz Steiner Verlag	p. 108 b

5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	--------------------------------	-----------------------	----------------------	------------------------

		საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	დასახელება და ნომერი/ტომი	გამომცემლობა	
1	E. Sh. Elizbarashvili, M. E. Elizbarashvili, Sh. E. Elizbarashvili, N. B. Kutaladze, N. Z. Chelidze, V. E. Gorgisheli	Tropical Nights in Georgia DOI: 10.3103/S1068373918090091	Russian Meteorology and Hydrology, Vol. 43, No. 9,	USA	pp. 625–631
